ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3249072

ნომერი: AR1499842

თარიღი : 01.05.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 08.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , ავეჯის სახლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი N14/51) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ თავაძე პ/ნ 01020002504
- თბილისი შ.მიქატაძის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 01 მაისის №AR1499842 განცხადებით მომართა თეიმურაზ თავაძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 18

აპრილის №3206363 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანებით გაიცა: ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი#14/51) მოქ. ზურიკო ნონიაშვილის საკუთრების მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.11.12.014.051), სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის №1002683 ბრძანებით შეთანხმებული, მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (სავაჭრო–საოფისე) არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 18 აპრილიდან 2018 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ორიგინალი+"-ის დაფიქსირებას. მიწის ნაკვეთის ს/კ: N 01.11.12.014.051 მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: № 882017332019, მომზადების თარიღი: 2017 წლის 26 აპრილი, 10:28:58) თანახმად, წარმოადგენს შპს ,,შპს ,,ორიგინალი +''(ს/კ:400081095).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის ს/კ: N 01.11.12.014.051, მესაკუთრეს წარმოადგენს ,,შპს ,,ორიგინალი +''(ს/კ:400081095) და მის მიერ უფლებამოსილი პირი თეიმურაზ თავაძე სამსახურს მომართავს ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირების მოთხოვნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ორიგინალი +'' (ს/კ:400081095).

2. სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №3206363 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.